სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

2024 – 2025 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში განხორციელებული ღონისძიებები და აქტივობები.

აღიარება

20204 წლის ოქტომბერს სტუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ ჩვენი ფაკულტეტის პროფესორს მარინე მაისურაძეს გადასცა ოქროს მედალი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ, სტუ-ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ მარინე მაისურაძეს სტუ-ის „ოქროს მედალი“ გადასცა. როგორც რექტორმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, მარინე მაისურაძემ არაერთი ღირსეული თაობა აღზარდა და უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმატებულ საქმიანობაში. აკადემიკოს დავით გურგენიძის განცხადებით, სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიიღო ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში, როგორიცაა შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური დრამატული თეატრის რეკონსტრუქცია. იგი, ასევე, მონაწილეობდა არაერთი საცხოვრებელი სახლისა და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის მშენებლობის პროექტის დამუშავებაში, მათ შორის: მრავალფუნქციური საავადმყოფოს კომპლექსის უზნაძის ქუჩაზე, მრავალპროფილიანი სავაჭრო ცენტრის კომპლექსის "ქალაქის გული" აბაშიძის ქუჩაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ნაფარეულის ქუჩაზე (ქ. თბილისში), ინდივიდუალური სახლების ქ. თბილისში, წავკისში, ქ. წყალტუბოში და სხვა; მონაწილეობდა მრავალ არქიტექტურულ შემოქმედებით კონკურსებსა და სამეცნიერო კონფერენციებში; ჩატარებული აქვს კვლევები მხატვრულ-ისტორიულ და

არქიტექტორულ თემატიკაზე; ავტორია სამეცნიერო პუბლიკაციებისა და წიგნის "მეთოდური მითითებები არქიტექტურაში"; მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიღებული აქვს საუწყებო ჯილდოები და საპატიო სიგელები. „უნივერსიტეტისა და ქვეყნის წინაშე მარინე მაისურაძის დამსახურების გათვალისწინებით, აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ღვაწლმოსილი პედაგოგისა და მეცნიერისთვის უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო - ოქროს მედალი მიენიჭებინა. საუნივერსიტეტო საზოგადოების სახელით, ვულოცავ ქალბატონ მარინეს ამ საპატიო ჯილდოს", - აღნიშნა დავით გურგენიძემ. ინფორმაციისთვის: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით 2022 წლის 19 მაისს დაწესებული ჯილდო - „ოქროს მედალი" გაიცემა უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის. „ოქროს მედალი" უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, რექტორის წარდგინების საფუძველზე გაიცემა. დაჯილდოებულ პირს, ჯილდოს და შესაბამის მოწმობას საზეიმოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი გადასცემს. სტუ-ის ჯილდო დაარსებიდან დღემდე, 70-მდე პირს გადაეცა, მათ შორის არიან როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

2024 წელს სტუ-ს პროფესორებს თენგიზ გოგოლაშვილს და ნიკოლოზ შავიშვილს მიენიჭათ „საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის წოდება". დაჯილდოება შედგა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.

თენგიზ გოგოლაშვილი და ნიკოლოზ შავიშვილი

2024 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს არქიტექტორთა კავშირში ჩატარდა არქიტექტურის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საერთო კრება, რომლის დღის წესრიგში სხვადასხვა საკითხებთან ერთად იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის დიდი ოქროს მედლით ჩვენი კოლეგების: ვახტანგ ცუხიშვილის, ლევან ბერიძისა და გიორგი სალუქვაძის დაჯილდოება, არქიტექტურის სფეროში გაწეული დიდი წვლილისთვის.

ვახტანგ ცუხიშვილი და ლევან ბერიძე; გიორგი სალუქვაძე, ვახტანგ ცუხიშვილი და ლევან ბერიძე;

მანამდე არქიტექტორთა კავშირის ეს უმაღლესი ჯილდო მიღებული აქვს ჩვენს სახელოვან არქიტექტორებს: ვახტანგ ბერიძეს, პარმენ ზაქარაიას, ირაკლი ციციშვილს, გიგა ბათიაშვილს და ვახტანგ დავითაიას.

გიორგი სალუქვაძე და ზვიად ბურჭულაძე. სიგელი მონოგრაფიისთვის: ურბო - ეკოლოგია გამოიცა 2024 წელს.

2024 წელს საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციამ საპატიო ჯილდო ქართული კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებისათვის ჯილდო გადაეცა ჩვენი ფაკულტეტის პროფესორს, საქართველოს დამსახურებულ არქიტექტორს მერაბ ბოლქვაძეს.

2024 წლის 22 დეკემბერს ფაკულტეტის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე საპატიო სიგელები გადეცათ პროფესორებს მაია ძიძიგურს და მაია დავითაიას. სიგელი სტუ-ს რექტორმა დავით გურგენიძემ საზეიმოთ გადასცე აკადემიურ საბჭოს სხდომაზე 2025 წლის 16 იანვარს.

სტუდენტის აღიარება

სტუ-ის სამი ფაკულტეტის უმაღლესი რეიტინგის მქონე სტუდენტებს თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდმა პრემია და ყოველთვიური სტიპენდია გადასცა

30-10-2024

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამი ფაკულტეტის უმაღლესი რეიტინგის მქონე სამი სტუდენტი, თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდმა ყოველთვიური სტიპენდიით დააჯილდოვა, ამასთან ერთად, წლევანდელი ერთიანი ეროვნული გამოცდებით სტუ-ში ჩარიცხული უმაღლესი საკონკურსო ქულის მქონე აბიტურიენტი, ამჟამად აქტიური სტატუსის მქონე პირველკურსელი ბაკალავრი ფონდის პრემიის მფლობელი გახდა. თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის სტიპენდიატები გახდნენ გასული სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში უმაღლესი აკადემიური მოსწრების მქონე ბაკალავრები: გეგა ჯერენაშვილი - სამშენებლო ფაკულტეტიდან, უჩა მჭედლიშვილი - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტიდან და შოთა იველაშვილი - აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტიდან; ფონდის პრემია კი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, 2024/2025 სასწავლო წელს უმაღლესი საკონკურსო ქულით ჩარიცხულ აბიტურიენტს, ნატალი კუპრეიშვილს გადაეცა, რომელიც არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტია.

სტიპენდიატ და პრემიის მფლობელ სტუდენტებს ჯილდოების დამადასტურებელი სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა თამარ წერეთელმა და თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის პროექტების ხელმძღვანელმა გოგა ჩანადირმა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ გაფართოებულ შეხვედრაზე გადასცეს, რომელსაც სამშენებლო, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის და აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტების სტუდენტები,

დეკანები, პროფესორ-მასწავლებლები, ასევე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და საგანმანათლებლო ფონდის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის პროექტების ხელმძღვანელის განცხადებით, სტუ-ის სამივე სტიპენდიატი საგანმანათლებლო ფონდისგან, შემოდგომის სემესტრში, ყოველთვიურად, 300-ლარიან სტიპენდიას მიიღებს, ხოლო პრემიის მფლობელ სტუდენტს ფონდი ერთჯერად ჯილდოს - 1500 ლარს გადასცემს. უმაღლესი რეიტინგის მქონე სტუდენტებს მნიშვნელოვანი წარმატება მიულოცა სტუ-ის ვიცე-რექტორმა. თამარ წერეთლის განცხადებით, საგანმანათლებლო ფონდიდან სტიპენდიისა და პრემიის მიღება მოტივაციას უზრდის არა მხოლოდ ჯილდოს მფლობელ ახალგაზრდებს, არამედ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებსაც. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის სახელით, მინდა მადლობა გადავუხადო თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდს მნიშვნელოვანი ინიციატივისა და სწავლის წახალისებისთვის. სტიპენდიების მოპოვება ძლიერი სტიმულის მიმცემია არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ მათი პედაგოგებისთვისაც. სასიხარულოა, რომ სტუდენტების შრომა ამდენად ფასდება და მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის მათ, სახელმწიფოს გარდა, დამოუკიდებელი საგანმანათლებლო ფონდიც გადასცემს ყოველთვიურ სტიპენდიას. სწავლის წახალისება და მოპოვებული ჯილდოები მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა სწავლაზე ორიენტირებული ყველა ახალგაზრდისთვის. სწორედ მათ უნდა დაინახონ, რომ ჩვენს საზოგადოებაში სწავლა დაფასებულია. ღრმად ვართ დარწმუნებული, მათ მიმბაძველებიც გამოუჩნდებიან. ვულოცავთ ჩვენს სტუდენტებს! ნებისმიერი ახალგაზრდისთვის მსგავსი წარმატება უტყუარი წინაპირობაა იმისა, რომ სწავლის დასრულების შემდეგ, როგორც მაღალპროფესიონალებმა, ღირსეული ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში და უნივერისიტეტში შეძენილი ცოდნა ქვეყნის განვითარებას მოახმარონ“, - აღნიშნა თამარ წერეთელმა. როგორც ფონდის ერთ-ერთმა სტიპენდიატმა, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრმა უჩა მჭედლიშვილმა დაჯილდოების ღონისძიებაზე აღნიშნა, სასიხარულოა, როცა სტუდენტის შრომა ფასდება და მას, მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის კერძო საგანმანათლებლო ფონდი სტიპენდიას უნიშნავს. მისივე თქმით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტმა არა მხოლოდ მოპოვებული სტიპენდიით, არამედ უნივერსიტეტში სწავლის, ახლის შემეცნების პროცესითაც შეძლოს სიამოვნების მიღება და ამასთან ერთად სიცოცხლის ბოლომდე დარჩეს ცოდნის მაძიებლად. ჯილდოების გადაცემის შემდეგ, გოგა ჩანადირი სტუდენტებს საგანმანათლებლო ფონდის სასტიპენდიო პროგრამის მიზნებისა და მნიშვნელობის, ასევე, მიმდინარე სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი ღონისძიებებისა და განსახორციელებელი პროექტების შესახებ ესაუბრა. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებთან, მათ შორის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდი პრიორიტეტული ფაკულტეტების უმაღლესი აკადემიური მოსწრების მქონე ბაკალავრებს, სემესტრულად, წამახალისებელ, ყოველთვიურ სტიპენდიას გადასცემს, ხოლო ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, პარტნიორ უნივერსიტეტებში

უმაღლესი საკონკურსო ქულით ჩარიცხულ აბიტურიენტებს, ყოველწლიურად, ერთჯერადი პრემიით აჯილდოებს.

დაჯილდოების ფოტოკოლაჟი

უჩა მჭედლიშვილი და ნატალი კუპრეიშვილი

მე-4 კურსის ბაკალავრიატის სტუდენტის თემურ ბოკუჩავას მიერ ორგანიზებული სემინარი და მასტერკლასი თემა: „რენდერის ხელოვნება არქიტექტურაში - D5 RENDER”

ბაკალავრიატის მე-4 კურსის სტუდენტმა თემურ ბოკუჩავამ საკუთარი ინიციატივით 2024 წლის 23-24 ოქტომბერს ჩაატარა ორდღიანი სემინარი და სამუშაო შეხვედრა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე D5 Render-თან თანამშრომლობით.

სემინარი მიზნად ისახავდა სტუდენტების გაცნობა გრაფიკული პროგრამის „D5 Render“, რომელიც დღეისათვის ყველაზე სწრაფი სარენდერო პროგრამაა. პირველი დღე მოიცავდა სემინარს პრეზენტაციის სახით , ხოლო მეორე დღე ფოკუსირებული იყო პრაქტიკულ ნაწილზე . ჩვენი მიზანი იყო , რომ სტუდედნტებისთვის მიგვეწოდებინა

სასარგებლო ინფორმაცია პროგრამის შესახებ , რომელიც მათ უამრავი დროის დაზოგვაში დაეხმარებოდათ.

ეს იყო გასაოცარი გამოცდილება, რომელიც ხაზს უსვამდა ამ პროგრამის სწრაფ ზრდას და წარმოუდგენელ შესაძლებლობებს. მადლობა ყველას ვინც მონაწილეობდა!

#GeorgianTechnicalUniversity #Workshop #D5Render #RenderingRevolution



საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა - Share Georgia - 2024

2024 წლის 9 ოქტომბერს პირველად საქართველოში გაიმართა საერთაშორისო არქიტექტურული ფორუმი: Share Georgia. ფორუმის მხარდაჭერი საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტი და არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. ფაკულტეტის ახალგაზრდა პედაგოგეგმა ასოც. პროფესორმა დავით ბოსტანაშვილმა, მოწვეულმა პედაგოგეგბმა ლევან ასაბაშვილმა და პავლე სახანბერიძემ გაუწიეს მოდერატორობა, ხოლო ფაკულტეტის სტუდენტებმა უმასპინძლეს ფორუმს. ორგანიზატორი და სპიკერი ნინო იმნაძე

https://www.youtube.com/watch?v=3yTc94B02Vo

A milestone to the SHARE Architects European map: SHARE Georgia 2024

https://share-architects.com/a-milestone-to-the-share-architects-european-map-share-georgia-2024/

SHARE Architects is set to host its first International Architecture Forum in Tbilisi on October 11, 2024, at the Pullman Tbilisi Axis Towers. This event marks a significant milestone as Georgia becomes the newest addition to the SHARE Architects European map, a leading network that has been connecting architects and contractors across Central and Southeast Europe for over 27 years.

Designed for professionals across the architecture and construction industry spectrum, including architects, engineers, urban planners, contractors, and material suppliers, this forum promises a day of enlightening discussions, innovative ideas, and extensive networking opportunities.

Featuring a lineup of distinguished speakers from around the world, including renowned architects, structural engineers, and urban planners, our event will delve into a wide range of topics, from sustainable design to cutting-edge construction techniques and urban development trends.

Speaker panel



Caroline BOS – Co-founder & Principal Urban Planner at UNStudio (The Netherlands), a critically acclaimed studio that has built an immense and awe-inspiring portfolio of projects, with numerous celebrated designs.
Maurizio MEOSSI – Associate Director ZAHA HADID Architects. He has worked on some of ZHA's largest mixed-use projects and Masterplans worldwide, including Italy, Australia, Mexico, Turkey, and Hungary.
Jan KNIKKER – Partner and Director of strategy at MVRDV. He has been shaping the public appearance of the world-renowned office based in Rotterdam since 2008. His latest book entitled "How To Win Work: The Architect's Guide to Business Development and Marketing", was a RIBA best seller.
Roman KRISTESIASHVILI – Associate Partner UNStudio, The Netherlands
Anouk LEGENDRE – architect, geographer, and co-founder of XTU Architects, France, an emblematic figure in the contemporary architectural field, standing out through her discoveries, innovations, ground-breaking research, exuberant creativity, and bold architectural attitudes.
Alireza TAGHABONI – Founder of NextOffice, Iran, one of the top prize-winning practices in the country. Alireza Taghaboni always invests his buildings with poetic signification and an intellectual foundation. He believes that "architecture lies somewhere between Kant and carpentry", as he stated in an interview for Financial Times.
George SULABERIDZE – Founder ArtStudio Project, Georgia. With more than 30 years of experience in the field of architecture and spatial planning, he is co-founder of "The Georgian Institute of Building" and the "Green Building Council of Georgia"
Giorgi KHMALADZE – Founder and principal Giorgi Khmaladze Architects, an award winning studio based in Tbilisi, Georgia.
Dilnoza AHMAD – Founder Perfect Design, Uzbekistan. His firm has an impressive portfolio of buildings of all types and sizes, becoming a benchmark in the architectural community across the entire region.
David NIKURADZE – founder and lead architect at Spectrum LLC, a fully integrated design-build firm, based in Tbilisi, Georgia. David has a Highly accomplished track record of managing a multifunctional diverse range of projects with the highest specifications and complexity levels ranging from US $ 10 Million to $ 1.5 Billion.
Marianna AVETISYAN – Program Officer of Eastern Partnership Countries, RECONOMY program, Helvetas Swiss Intercooperation, Armenia
Mekhribanu GLAUDINOVA – Doctor of Architecture, Head of the UNESCO Chair on Conservation of Historical-and-Cultural Heritage, KazGASA, Kazakhstan
Zhamankulov ALMAT – BIM Development Manager KAZGOR Design Academy, Kazakhstan
Aurelia CARPOV – Former Head of the Department of Architecture of the Faculty of Urbanism and Architecture of the Technical University of the Republic of Moldova; SHARE Architects Ambassador in Republic of Moldova

For over 27 years, **SHARE Architects** has been a trusted platform, bringing together architects and contractors from the region to foster innovation and collaboration. Now, Georgia is ready to join this international dialogue, hosting some of the most influential names in global architecture. Georgian architects can greatly benefit from the SHARE forums by gaining access to an extensive network of professionals.

These forums provide opportunities to participate in large-scale international discussions and projects in the field of architecture. SHARE Architects emphasizes efficient communication and networking, aiming to discover and harness the untapped potential of architects from Central and Southeast Europe. This initiative strengthens the presence and influence of Georgian architects on both the European and global stages.

We are delighted to organize the first edition of the SHARE International Architecture Forum in Georgia. In the well-established SHARE Architects system, the forum serves as an active platform where diverse contributions converge, productive dialogues spark unexpected ideas, realized concepts become inspirations for new projects, and the intersections of different directions and perspectives outline the complex current sphere of the profession. Through presentations, debates, questions and answers, objective analyses and personal approaches, and from shared concerns to general contemporary issues, an updated image of the field of architecture is formed—a vision that SHARE Architects aims to highlight for the benefit of all participants."

– Florin Mindirigiu, Founder SHARE Architects

SHARE-ARCHITECTS.COM

Where the architecture community comes together to share ideas and inspiration, learn and celebrate excellence in architecture.

ფორუმის მოდერატორები და გამომსვლელები შეგიძლიათ ნახოთ მითითებულ ბმულზე: https://share-architects.com/share-georgia-2024-forum/
Meet the speakers
See All speakers

Florin Mindirigiu
Founder SHARE Architects

Nino Imnadze
Dean of Architecture, Urban Planning and Design, Georgian Technical University PhD in Architecture, Professor

David Bostanashvili, Phd
Associate Professor at Faculty of Architecture, Urban Planning and Design, Georgian Technical University

Pavle Sakhanberidze
Founder and Director of Project Development Fund LLC

Levan Asabashvili
Faculty of Architecture, Urban Planning and Design GTU

Thank You
ORGANIZER:
GOLD PARTNERS:
THORN
ZUMTOBEL
ŞİŞECAM
NATIONAL PARTNER:
SHARE
Georgia 2024
INTERNATIONAL ARCHITECTURE & TECHNOLOGY FORUM

საერთაშორისო და ადგილობრივ ვორქშოფებში მონაწილეობა

საერთაშორისო პროექტი: დიდუბის არეალის გადააზრება გერმანელ არქიტექტორთან ფრანკ ბუკენთან ერთად

პროექტის დაწყება 2024 წლის 4 ოქტომბერი დასრულება 2025 წლის თებერვალი

პროექტს გერმანელ არქიტექტორთან ერთად გაუძღვნენ ლევან ასაბაშვილი და ნინო იმნაძე



ადგილობრივი კონკურსი

ქ.ქუთაისში ჭავჭავაძის გამზირზე „სკვერის“ რეაბილიტაციის პროექტი

2024 წლის მაისის დასაწყისში, კომპანიის „კვადრუმ გლობალ ჯორგიას“ ინიციატივით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აქრქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებს მიეცათ საშუალება, მონაწილეობა მიეღოთ ქალაქ ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირზე, ყოფილი ტყავფეხსაცმლის ქარხნის მიმდებარედ არსებული პარკის რეაბილიტაცია-აღდგენის პროექტის შესასრულებლად.

რეალურ პროექტებზე მუშაობა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის უკვე სიახლეს აღარ წარმოადგენს, რადგან არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი რამოდონეიმე წელია ასრულებს მსგავს პროექტებს სხვა და სხვა მუნიციპალიტეტისა და კომპანიისათვის. კონკურსის გამოცხადებისას მსურველთა რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. დარეგისტრირდა 70 სტუდენტზე მეტი. საკონკურსო პირობების მიხედვით, დამკვეთისაგან საჭირო დოკუმენტაციის მიღების შემდეგ, აღნიშნული კომპანია იღებდა ვალდებულებას რეგისტრაციაგავლილი სტუდენტებთან ერთად გასვლას საპროექტო ტერიტორიაზე, რათა სტუდენტებს საკუთარი შეხედულებისამებრ, გამოეკვლიათ, შეევსოთ ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე და მოეხდინათ ტერიტორიის ფოტო ფიქსაცია. კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლეოდათ არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ყველა სტუდენტს ან სტუდენტთა რამოდენიმეკაციან ჯგუფს. კონკურსის ხარისხიანად შესრულებისათვის

სტუდენტებს მიეცათ განმარტებები და დავალებები, რაც გაწერილი იყო საკონკურსო პირობებში. კონკურსში მონაწილე სტუდენტთა უნრავლესობას მეორე კურსის სტუდენტები იყვნენ.

2024 წლის 6 ივნისს სტუდენტთა 56 კაციანი ჯგუფი გაემგზავრა ქუთაისში საველე სამუშაოების ჩასატარებლად.ქუთაისში დაგვხვდა დამკვეთთა და სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები. გაიმართა დიალოგი, მოსაზრებათა გაცვლის და კონკურსანტთათვის საჭირო კითხვებზე პასუხის გასაცემად. სტუდენტებმა დაათვალიერეს ტერიტორია, ჩაატარეს აზომვითი სამუშაოები და ტერიტორიის ფოტო ფიქსაცია.

29 ივნისს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა შუალედური დათვალიერება, რომელსაც ესწრებოდა დამკვეთი ორგანიზაციის წარმომადგენელი - იურივასილენკოკვადრუმგლობალი-სსამშენებლოპროექტებისკოორდინატორი. მან დაათვალიერა სტუდენტთა ნამუშევრები, მოუსმინა მათ და გაეცნო თითოეულის მოსაზრებას. **(ამ ეტაპზე სტუდენტებს არ ვუზიარებთ შენიშვნებს და მოსაზრებებს.)**

შუალედურ დათვალიერებისას გამოიკვეთა 8 საავტორო ჯგუფის, როგორც ინდივიდუალური ასევე ჯგუფური პროექტები.

კონკურსის ვადების ამოწურვისას კომისიამ მიიღო 8 დასრულებული ნაბეჭდი პროექტი ა1-ფორმატზე, ელექტრონული ვერსიით და კლიპებით.
ზაფხულის პერიოდიდან გამომდინარე მოხდა ელექტრონული ვერსიის გადაგზავნა ჟიურის წევრებთან წინასწარი შეფასებისათვის, თუმცა ჟიურის მუშაობა აქ არ მთავრდებოდა და საბოლოო შედეგი მიიღებოდა საკონკურსო გამოფენაზე რომელიც გაიმართა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ამა წლის 20 სექტემბერს.
გადაწყვეტილებისა და შეხამების შემდეგ კოპანიების წარმომადგენლებმა

კონკურსის დასრულებისას

,თეიკოლომინაძემკვადრუმგლობალჯორჯიასმარკეტინგისდორექტორმადა .
გიორგირუსიამკვადრუმგლობალჯორჯიასტექნიკურმადირექტორმა
პრიზიორებს გადასცეს დაწესებული ფულადი პრემია.

კონკურსის მონაწილეები:

1. ანა ჯაოშვილი
2. ბარბარე ანთიძე
3. მერი ლომიძე
4. ლიზი ფიფია

5. ანა წერეთელი
6. ზურაბ ზარიძე
7. მარიამ გიორგაძე
8. თემურ ციცაძე
9. გიგი გორგილაძე
10. ლადო თოლორდავა
11. ზურაბ გოგოლაძე
12. მარიამ ღიბრაძე
13. **რევაზ ბასილაძე----------მესამე**
14. **მარიამ ნოსელიძე----------მესამე**
15. **მამუკა ნაგერვაძე----------მეორე**
16. **თეიმურაზ ესაძე----------მეორე**
17. **საბა თავდგირიძე----------მეორე**
18. **ლუკა ბერიშვილი----------მეორე**
19. **ანა ჩილინგარაშვილი-------პირველი**
20. **ეკატერინე კახიძე----------პირველი**
21. **ნინი სალუქვაძე----------პირველი**
22. **ლიკა ბენდელიანი----------პირველი**

პირველი ადგილი -(პრემია 3000ლ.)

1. ანა ჩილინგარაშვილი
2. ეკატერინე კახიძე
3. ნინი სალუქვაძე
4. ლიკა ბენდელიანი

მეორე ადგილი -(პრემია 1500ლ.)

1. მამუკა ნაგერვაძე
2. თეიმურაზ ესაძე
3. საბა თავდგირიძე
4. ლუკა ბერიშვილი

მესამე ადგილი -(პრემია 1000ლ.)

1. **რევაზ ბასილაძე**
2. **მარიამ ნოსელიძე**

ბესარიონ ტატიშვილი-სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მოწვ. პროფესორი

პროექტები



ე.კახიძე, ნ. სალუქვაძე;

თ. ესაძე, ს. თავდგირიძე

მ. ნოსელიძე, რ. ბასილაძე

ა. ჯაოშვილი, ბ.ანთიძე

ლ.თოლორდავა, ზ. გოგოლაძე

საპროექტო ტერიტორია (მცირე დახასიათება)

• სარეაბილიტაციო სკვერიმდებარეობს, ქალაქ ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირის დასაწყისში, ჭავჭავაძის ხიდისა და ჭავჭავაძის N-2-ის მიმდებარედ. **ს.კ. 03.04.32.275**

სრული მისიმართი: ი. ჭავჭავაზის გამზირი, ტყავფეხსაცმელების ქარხნის სამხრეთით მდებარე სკვერი.

მიმდებარეარეალისგანაშენიანებაქალაქგეგმარებითითავისებურებითხასიათდება, რასაცქუთაისისამნაწილშიმე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გაშენებული საწარმოო უბანი განაპირობებს.

უბანი ამჟამად შერეული განაშენიანებაა, სადაც ჭარბობს საცხოვრებელი სახლები.

ქალაქისამნაწილშიიკვეთება, ჭავჭავაძისგამზირის, პრპენდიკულარულიშედარებითვიწრო, მიხვეულ-მოხვეულიქუჩებითა, თუჩიხებითდაქსელილ, არასწორიგეომეტრიულიმოხაზულობისმიკროკვარტლებისგანშემდგარიურბანულიგ ანაშენიანება.

დავალება:

არსებული სკვერის რეაბილიტაცია. ტოპო გადაღებაზე დატანილი მცენარეები უნდა იქნას შენარჩუნებული. შესაძლებელია მცენარეთა დამატება. ბილიკებისა და სკამების მოწყობა. განათება, რომელიც ხელს არ შეუშლის ადგილობრივ მაცხოვრებელს და ავტომობილით გადაადგილებად მოქალაქეებს.(მძღოლებს)

საკონკურსოწინადადებისწარმოდგენისფორმა:

• განმარტებითიბარათი - პროექტისძირითადიკონცეფციისაღწერით, ცვლილებისფუნქციებისაღწერით, გამოსაყენებელისამშენებლომასალებისაღწერით, სამშენებლოსამუშაოებისაღწერით.

• გენგეგმა

• სკვერის, პარკის სრულყოფილი ექსპლუატაციისათვის საჭირო ინვენტარისა და ფურნიტურის ჩამონათვალი.

• ჭრილები, ფასადები., განშლები.

• საპროექტოობიექტისესკიზი - სასურველიარენდერებიმომიჯნავეშენობებთანერთად

• ფოტომონტაჟი (სავალდებულოასაკონკურსოგანაცხადზეთანდართულორხედზედამუშავებულიფოტომონტაჟი).

• პროექტისგანმარტებითიბარათი, გენ-გეგმადაესკიზურინაწილიწარმოდგენილიუნდაიყოსროგორცცალ-ცალკე pdf ფორმატისფაილების, ასევე ერთი ან ორი A1 ზომისფორმატის (ერთგვერდზე)კომპოზიციურადგანლაგებული ნაბეჭდი და pdf ფორმატში.

• სურვილისშემთხვევაშიმაკეტი, ანიმაციურირგოლიან/დასხვასახისპრეზენტაბელურიდოკუმენტი.

კონკურსისმონაწილეთათვისგადასაცემიდოკუმენტების ჩამონათვალი:

1. ორთოფოტო; - (შესაძლებელია მონაწილემ მოამზადოს თვითონ)
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
3. საკადასტრო რუქა
4. ტოპოგრაფიული რუქა AutoCAD da pdf ფორმატში.
5. საპროექტო ობიექტ „დომინოს“ გენერალური გეგმის pdf ფაილი.

გამარჯვებულიპროექტიგამოვლინდებაწარმოდგენილისაკონკურსოწინადადებისსაფუძველზე.-(გრაფიკული პროექტის სახით)

- გამარჯვებულპროექტსშეარჩევსსაკონკურსოკომისიაშემდეგიშემადგენლობით: (5 ან 7 წევრი)

1. ნინოიმნაძე - არქიტექტორი, ფაკულტეტისდეკანი-(პროფესორი)
2. გიორგი რუსია - კვადრუმგლობალჯორჯიასტექნიკურიდირექტორი
3. თეიკოლომინაძე-კვადრუმგლობალჯორჯიასმარკეტინგისდორექტორი
4. ვასილ ქობულია-სტუ-ს არქ. ფაკულტეტის მოწვ. პროფესორი
5. ბესარიონ ტატიშვილი--სტუ-ს არქ. ფაკულტეტის მოწვ. პროფესორი
6. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის, არქ. სამსახურის წარმომადგენელი ??????
7. ქ. ქუთაისის მერი

საპრიზო ფონდი:

5 500 ლ. (ხუთიათას ხუთასი ლარი. 00 თ.)

1. პირველი პრემია- **3000 ლარი. -სარეალიზაციო პროექტი**
2. მეორე პრემია -**1500 ლარი.**
3. მესამე პრემია -**1000 ლარი.**
   კონკურსში მონაწილე ყველა სტუდენტს გადაეცემა მონაწილის სერთიფიკატი.

შენიშვნა:

ფოტომასალის მოსაძიებლად დაგეგმილია მონაწილეთა გამგზავრება ქალაქ ქუთაისში, ორგანიზატორებთან ერთად. სადაც, თითოეულ მონაწილეს ექნება საშუალება, თავისი შეხედულებისამებრ ასახოს ტერიტორიის ფოტოფიქსაცია და გადაიღოს რენდერისათვის საჭირო ფოტომასალა.

მასალის შეგროვების შემდეგ დაინიშნება ერთი საკონსულტაციო შეხვედრა, სადაც შესაძლებელი იქნება გასაუბრება დამკვეთებთან, დავალების კონკრეტიზაცია და მონაწილეთა დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

ვორქშოფი პროექტის "ქალაქ დუშეთის გენერალური გეგმა"
2024 წლის 1 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრის ჩათვლით.

ილიას უნივერსიტეტის ბაზაზე
ქალაქ დუშეთის ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქციის

დუშეთის გენერალური გეგმა

ვორქშოფი

"ქ. დუშეთის მთავარი მოედანი"

ვორქშოფი "ბაბ-ფიზანინის" მიზანია, ვორქშოფში მონაწილეობა მიიღონ ბაკალავრიატის ეტაპზე მყოფ, "ქალაქ დუშეთის გენერალური გეგმის" გეგმარებითი ერთეულების პროექტებში ექსპერტული საკვლევი ორგანოები – **ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქცია:** საინაბი კომპლექსიანი მოსაზრებებისა მოკრძალებულ ბაზისიერებ, მაქსიმალურად ოპერატიული და ეფექტური სცენარის მეშვეობით.

არქიტექტორთა კავშირის მიერ ორგანიზებული „სამაგისტრო დამამთავრებელი ნამუშევრების დათვალიერება - კონკურსი“

2024 წლის 4 ოქტორმბერს საქართველოს არქიტეტორთა კავშირში გაიმართა ტრადიციული კონკურსი სამაგისტრო დამამთავრებელი პროექტების დათვალიერება - კონკურსი“. კონკურსი ეძღვნება საერთაშორისო არქიტეტურის დღეს და მასში მონაწილეობას იღებს საქართველოში არსებული ყველა არქიტექტურული სკოლა. კონკურსი იმართება სხვადასხვა ნომინაციაში. ჩვენი ფაკულტეტიდან სხვადასხვა ნომინაციაში მონაწილეობა მიიღო 10 - მა მაგისტრანტმა.

ლანდშაფტი და გარემოს არქიტექტურა:

1. დიაკონიძე თებრო---------„სარეაბილიტაციო ცენტრი სოფ. წყლულეთში“—----------(ხელ.: ბ.ტატიშვილი)
2. ნერგაძე ანა-----„ფილოსოფიის ტოპოგრაფია-ახალი ფაზისის აკადემიის კომპლექსი ქ. ფოთში“---(ხელ.: ზ სვანაძე) - პირველი ადგილი
3. ლონდარიძე ნინო----------„საცხოვრებელი კომპლექსი ქ. თბილისში“----------(ხელ.: დ. ბოსტანაშვილი) მეორე ადგილი

მოცულობითი არქიტექტურა:

4. უთიაშვილი ეკა----------„სპა-გამაჯანსაღებელი ცენტრი ქ. თბილისში“----------(ხელ.: ზ. სვანაძე)
5. ბეგლარაშვილი გურამი-------„საფეხბურთო სტადიონი 25 000 მაურებელზე ქ. სამტრედიაში“---(ხელ.: ნ. იმნაძე) პირველი ადგილი და გრან პრი: არჩილ და ქეთევან ქურდიანების დიპლომი



6. ვაშაკიძე თორნიკე----------„აეროპორტი ქ. თბილისში“ ----------
--(ხელ.: ნ. იმნაძე) მეორე ადგილი ნომინაცია „მოცულობითი არქიტეტურა



რესტავრავრაცია რეკონსტრუქცია:

7. პატარკაციშვილი ნინო---------„გოგილოს აბანო. ქ. თბილისი“—----------
(ხელ.: ბ.ტატიშვილი) პირველი ადგილი ნომინაცია „რესტავრაცია რეკონსტრუქცია“

ბოგვილოს ბანის რეკონსტრუქცია


ბოგვილოს ბანის რეკონსტრუქცია


ბოგვილოს ბანის რეკონსტრუქცია

8. ბიწაძე ნიკოლოზ----------„მეცხრე საავადმყოფოს რეკონსტრუქცია რეაბილიტაცია“---------
(ხელ.: ნ.იმნაძე) მეორწ ადგილი ნომინაცია რესტავრაცია რეკონსტრუქცია





9. გაბოძე გიორგი----------„მელიქ აზარიანცის სახლის რეკონსტრუქცია“----------
(ხელ.: ბ.ტატიშვილი)
10. ირაკლი ზურაშვილი „კახეთში არსებული რკინიგზის სადგურებია რეაბილიტაცია“; ხელმძღვანელი ბესარიონ ტატიშვილი

დაჯილდოების ცერემონიალის ფოტოკოლაჟი

ნ. პატარკაციშვილი 1 ადგილი ნომინაცია რესტავრაცია რეკონსტრუქცია

გ. ბეგლარაშვილი გრან პრი: არჩილ და ქეთევან ქურდიანის დიპლომი და 1 ადგილი ნომინაცია მოცულობითი არქიტექტურა.

ა. ნერგაძე 1 ადგილი ნომინაცია: ლანდშაფტური არქიტექტურა

თ. ვაშაკიძე 2 ადგილი ნომინაცია: მოცულობითი არქიტექტურა

ჟურნალი სტილის კონკურსი: ნომინაცია „სტუდენტური პროექტი“

2024 წლის 12 ოქტომბერს, სასტუმრო „ბილტმორში“ გაიმართა „საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ და ჟურნალ „სტილის“ ყოველწლიური დაჯილდოება მე-18 საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსის „არქიტეტურული პრემია - 2024“.

კონკურსი იმართება 11 ნომინაციაში. მათ შორის ნომინაცია „სტუდენტური პროექტი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ფაკულტეტის ბაკალავრებმა.

ალექსანდრე ნოზაძე - სტუდენტური პროექტი ხელოვნების მუზეუმი მცხეთაში, ხელმძღვანელი გიორგი კვიწინაშვილი;





იზომეტრიული დიაგრამა მ.1:450



იზომეტრიული ჭრილი „ა" ბლოკზე


ფასადი 1-26
0 5 10 15 25


ფასადი 26-1
0 5 10 15 25


ფასადი ა-ბ
0 5 10 15 25

გუგა ბეგლარაშვილი - მონაწილე; საფეხბურთო სტადიონი 22 000 მაყურებელზე ქ. სამტრედიაში ხელმძღვანელი ნინო იმნაძე




საფეხბურთო სტადიონი 25 000 მაყურებელზე,
ქალაქ სამტრედიაში
ბენერალური გეგმა
ბენერალური გეგმა



მარიამ მსხილაძე - ღვინის სამყარო კახეთი ხელმძღვანელი ვასილ ქობულია









მეგი ქოქაშვილი - აეროპორტი სოხუმში ხელმძღ. ვასილ ქობულია

სოხუმის საერთაშორისო აეროპორტი
ბაბუაია , საჯარბაური

სოხუმის საერთაშორისო აეროპორტი 1960-იან წლებში აშენდა. აფხაზეთის კონფლიქტამდე, აეროპორტი მნიშვნელოვან საერთაშორისო კავშირს წარმოადგენდა და ფიდე ჩოლეს თამაშობდა. ჩუგეთის საერთაშორისო ზღვიში 1993 წელს. კონფლიქტის შემდეგ, აეროპორტი დაიხურა. მისი ინფრასტრუქტურა დაზიანდა, ტერიტორია კი ნიღმებით იყო სავსე.



აეროპორტის ტერიტორიაზე არსებობდა ორი ტერმინალი. პირველი ტერმინალი, აშენებული XX საუკუნის შუა წლებში, ნეოკლასიციზმისტური არქიტექტურული სტილის ნაგებობა, რომელიც გამოირჩევა სიმეტრიული ფორმებით, დიდი არკებითა და წაგიო დეკორატიული ელემენტებით. ის სიხუმის ისტორიული ინფრასახის ნაწილია და პროექტის ერთ-ერთი დენტრალიზებულ ელემენტად ჩაჩება.
მეორე ტერმინალის არქიტექტურა აეროფლოტის საბჭოთა მოდერნიზმისა და ფუნქციონალიზმის სტილებს, შენობის ძირითადი მასალაა, შეიქმნა მძიმე, მასიური ფორმები. გამორჩეული დეტალია , ფიბონაჩის ტიპის გადახურვები რომელიც აშმაფრენენ შენობის დინამიკურობას. და აძლევენ მას ფრენელო, ავანგარდულ ფერს.
პროექტის ბოლოდროინდელ ეტაპზე, ორი ძველი ტერმინალის მუნარჩენებმა და მათთან ახალი სიცოცხლის ბინძიტება , მოდელი ითვალისწინებს ტერმინალების ერთიანი არქიტექტურის ქვეშ მოქცევას, რაც მოიცავს ისტორიული და ვერუალური მასალითებლების შენარჩენებს. გამზრახული იყო ნეოკლასიკური ტერმინალის გამოცენება ჩამოფენილი ფონად, ხოლო ბრუტალისტური სტილის ტერმინალი გაფერების ფონად გადაკეთდა. ორივე შენობა დაკავშირებულია ტრანზიტიანი გალერეით, რომელიც ფენქციურად აერთიანებს ორ განსხვავებულ სტრუქტურას.









ნიკა ხვედელიძე - Reflecting on the past





ალექსანდრე ნოზაძე - მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი


1. Kitchen.
3. Bath.
5. Child's room.
7. Hall.
2. Livng room.
4. Bedroom.
6. Garderobe.
8. Terrase.
Typical floor plan

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციამ საპატიო ჯილდო ქართული კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებისათვის ჯილდო გადაეცა ჩვენი ფაკულტეტის პროფესორს, საქართველოს დამსახურებულ არქიტექტორს, თბილისის გენერალური გეგმის ავტორს, **ბატონ მერაბ ბოლქვაძეს.**

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ნომინაციებში გაიმარჯვეს ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა: მერაბ გუჯეჯიანი - ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი კიკეთში და საზოგადოებრივი ნაგებობა რეალიზებული შატო მეფის ქალაქი - სასტუმრო და ისტორიული მარანი; სტუდია არქიტექტურის ლაბორატორია 3 - ტერაკოტას პავილიონური სახლი წავკისში და საზოგადოებრივი ნაგებობა სასტუმრო Glarros oldtown კოტე აბხაზის ქუჩა # 15 - დიმიტრი შაფაქიძე, ურაკლი აბაშიძე და სხვა.; ნს სტუდია - სახლი თელავში სოფელი თვალადი და საცხოვრებელი ინტერიერი სახლი თვალადაში; პავლე მაისურაძე და კომპანია 109 გრადუსი - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი - „ლისი საიდი“ და აპარტჰოტელი - გუდაური ჰილსი, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა, არქიტექტურული პროექტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი სახლი ნუშის ბაღებში; შორენა წილოსანი - საცხოვრებელი ინტერიერი - კრწანისის საკურორტო რეზიდენცია გ. ვოლსკის ქ. 7, კრწანისი; სტუდია „სამი“ - თამარ მოსიაშვილი, ციცი მანაგაძე, ნატალია მანჯგალაძე - საზოგადოებრივი ინტერიერი რეალიზებული - სასტუმრო წერეთლის ქ. 111, ქ. ქუთაისი; გოჩა ბზეკალავა, ლუკა ცხადაია არქიტექტურული პროექტი რეკონსტრუქცია კულტურული მემკვიდრეობის

უძრავი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოები ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას # 6; ნინო შენგელია - ლანდშაფტის არქიტეტურა რეალიზებული ვილა ლაგოდეხის ბაღი;

სტუდია არქიტექტურის ლაბორატორია 3 - ტერაკოტას პავილიონური სახლი წავკისში

ნს სტუდია - სახლი თელავში სოფელი თვალადი

საზოგადოებრივი ნაგებობა სასტუმრო Glarros oldtown კოტე აბხაზის ქუჩა # 15 - დიმიტრი შაფაქიძე, ურაკლი აბაშიძე

მერაბ გუჯეჯიანი - ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი კიკეთში და საზოგადოებრივი ნაგებობა რეალიზებული შატო მეფის ქალაქი - სასტუმრო და ისტორიული მარანი;

ფოტო კოლაჟი დაჯილდოების ცერემონიალიდან

მასტერკლასი წამყვან დიზაინერულ ფირმებთან

სტუმრად: კომპანია „RiverSide“

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა 2024 წლის 6 ნოემბერს მოინახულეს თბილისში სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წამყვანი მწარმოებელი კომპანია RiverSide-ის მიმდინარე პროექტის - რუსთავი რეზიდენსის სათაო ოფისის სარემონტო სამუშაოების პროცესი. კომპანიის პროდუქტებმა აღიარება მოიპოვეს საიმედოობისა და ინოვაციური გადაწყვეტილებების გამო. სტუდენტები გაეცნენ მოსაპირკეთებელი მასალების უახლეს კოლექციებს და მათი პრაქტიკაში რეალიზაციის პროცესს.

გამოფენები

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, გალერეა „უნივერსში“, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის, პირველი კურსის სტუდენტის კონსტანტინე კაკაშვილის პერსონალური გამოფენა გაიმართა. ექსპოზიციაში პირველკურსელის 50-ზე მეტი ნამუშევარი - ფერწერული ტილოები, შავ-თეთრი გრაფიკა, სხვადასხვა მასალისგან შესრულებული კოლაჟები, მინიატიურული ფორმის ნახატები და დიდი პანოები იყო წარმოდგენილი. გამოფენას დაესწრო მოწვეული სტუმარი გერმანელი არქიტექტორი ფრანკ ბუკენ.კონსტანტინე კაკაშვილის პერსონალური გამოფენა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმართველობის და ფაკულტეტის ინიციატივით გაიმართა.

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
1922 წლიდან

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
1922 წლიდან

„ორიგინალური ნახატები ხალასი, ნათელი ფერებით და ინდივიდუალური შესრულების ტექნიკით, - ასე შეიძლება შევაფასოთ კონსტანტინე კაკაშვილის შემოქმედება. ნამუშევრები გამოირჩევა იდეების მრავალფეროვანი გადაწყვეტით, კომპოზიციური ფორმით, რომლებიც მკვეთრად ორიგინალური, ინდივიდუალური და მხატვრული პროფესიული უნარ-ჩვევებითაა შესრულებული. იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვცხოვრობთ ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები მაქსიმალურად ვცდილობთ ხელი შევუწყოთ სტუდენტის შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. ტექნოლოგიებმა, ხელოვნურმა ინტელექტმა არ უნდა ჩაახშოს ჩვენი შემოქმედებითი აზროვნება. სწორედ ამ ნიშნითაა კონსტანტინეს შემოქმედება განსაკუთრებული - ის აზროვნებს, ხატავს ხელით და გვთავაზობს საინტერესო თემატიკას. წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს სტუდენტს", - აცხადებს ნინო იმნაძე. კონსტანტინე კაკაშვილის ნამუშევრებს ფაკულტეტის დეკანმა, პედაგოგებმა, სტუდენტებმა, ასევე, მოწვეულმა სტუმრებმა - ცნობილმა მხატვრებმა და გალერისტებმა მაღალი შეფასება მისცეს.

არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფური გამოფენა გალერეა „უნივერსში“:

„რეალობაში დაკარგული მშვენიერება“

2024 წლის 31 ოქტომბერი. გამოფენაში არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის 10 სტუდენტის მიერ შექმნილი 60 ნამუშევარი - ფერწერული ტილოები, შავ-თეთრი გრაფიკა, სხვადასხვა მასალისგან შესრულებული კოლაჟები, მინიატიურული ფორმის ნახატები და დიდი პანოები იყო გაერთიანებული.

სტუდენტური გამოფენა ყოფითობაში დაკარგული მშვენიერების ძიებას მიეძღვნა. ნინო იმნაძის თქმით, პრაგმატულ რეალობას ახალგაზრდებმა ფერადოვნებით აღსავსე ხედვები დაუპირისპირეს და წარმოადგინეს საუკეთესო ნამუშევრები, რომლებიც ნებისმიერ გალერეას დაამშვენებდა. „შეუძლებელია არ აღფრთოვანდე იმ ნამუშევრებით, რომლებიც ჩვენმა სტუდენტებმა წარმოადგინეს. სამყაროს მათეული ხედვა, შემოქმედებითი აზროვნება, ფერთა საუცხოო გამა, გასაოცარი პლასტიკა და კომპოზიცია, ტილოზე, ქაღალდზე თუ დიდ პანოებზე გადმოტანილი უნიკალური არქიტექტურული

ობიექტები, პორტრეტები, უჩვეულოდ საინტერესო კოლაჟები - ყველაფერი ეს თამამად უპირისპირდება ჩვენს პრაგმატულ რეალობას და გაჯერებულია დაკარგული მშვენიერების ძიების დაუოკებელი სურვილით, ყოვლისმომცველი სიყვარულით. „რეალობაში დაკარგული მშვენიერება“ - სწორედ ამ ქოლგის ქვეშ ერთიანდება არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის 10 სტუდენტის 60 ნამუშევარი, რომელიც, თამამად შემიძლია ვთქვა, ნებისმიერ ცნობილ გალერეას დაამშვენებდა. ახალგაზრდებმა წინა პლანზე წამოსწიეს ის, რაც ყველაზე მეტად აკლია დღევანდელ პრაგმატულ ყოფითობას - ლიტერატურა, შემოქმედებითობა, ფერწერულობა, ხალასი ფერადოვნება. მადლობას ვუხდით სტუდენტებს არაჩვეულებრივი გამოფენისთვის, იმ ამაღლებული განწყობისთვის, რომელმაც თითოეული ჩვენგანი მოიცვა. უნივერსიტეტში შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდით რექტორს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს, ჩვენი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, საუნივერსიტეტო გალერეა „უნივერსსა“ და მის ხელმძღვანელს, პროფესორ ლალი ღოღელიანს, რომელიც მუდამ მზად არის უმასპინძლოს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტურ გამოფენებს. სწორედ შემოქმედებითი პროცესის მხარდაჭერით ხდება შესაძლებელი ტალანტების გამოვლენა, რაც ძლიერი სტიმულია ნებისმიერი სტუდენტისთვის“, - ამბობს ნინო იმნაძე.

სტუდენტური ნამუშევრების გამოფენა: „არქიტექტურული კომპოზიცია“ (თამარ ჭანტურიას და მანანა ჟღენტის ჯგუფი) – 2024 წლის 21 იანვარი








სტუდენტური შემოქმედებითი გამოფენა „ქანდაკება“

2025 წლის 20-31 იანვარი ფაკულტეტის ფოიეში ტრადიციულად იმართება სტუდენტური შემოქმედებითი ნამუშევრების გამოფენა სახვით ხელოვნებაში.

სტუდენტებმა წარმოადგინეს თავიანთი ნამუშევრები გრაფიკაში და ქანდაკებაში

მოქანდაკეების ლიკა კერვალიშვილისა და გია ამირანაშვილის სტუდენტტა ჯგუფური გამოფენა ქანდაკებაში

საჯარო ლექციები ჩატარებული უცხოელების მიერ

2024 წლის 9 ოქტომბერს ფაკულტეტზე ერასმუს + პროგრამის ფარგლებში ჩატარდა საჯარო ლექცია პორტუგალიელი არქიტექტორის ანდრეა გარსიას მიერ.

ანდრეა გარსია არის კურატორი, მკვლევარი და ლისაბონის არქიტექტურის სკოლის (FAUL) დოქტორანტი პროფესორი. გარსიას სამუშაო პრაქტიკა ეყრდნობა არქიტექტურას და, ჩვენი დროების სწრაფი ტექნოლოგიური განვითარებისა და ეკოლოგიური კრიზისების ფონზე, მის სხვა დარგებთან მიმართების კვლევას. ანდრეას პედაგოგიური გამოცდილება ითვლის ისეთ ინსტიტუციებს, როგორიცაა გიმარაინშის მინიუს უნივერსიტეტი და ლონდონის არქიტექტორთა ასოციაცია. ამჟამად ის ბეირას ინტერიერის უნივერსიტეტის ინჟინერიის ფაკულტეტის ვიცე-პრეზიდენტი და ასოცირებული პროფესორია. 2023 წელს გარსია ვენეციის არქიტექტურის ბიენალეს რიგით მე-18 გამოფენაზე, პორტუგალიის პავილიონის კურატორი გახლდათ.

Andreia
Garcia

Architect, curator, researcher,
and university professor

Porto, Portugal

Andreia Garcia is an architect, curator, editor, researcher, and university professor. Her research field is defined by an architectural practice that expands the disciplinary intersection with complementary areas. Her interests focus on contemporary architectural practice in an era marked by intense technological advances and a growing ecological crisis. She is the founder of the Architectural Affairs studio, founder, and director of the Art(e)facts Knowledge Biennial and co-founder of Galeria de Arquitetura, an independent space for the reflection and debate on architecture, city and territory. She was a Visiting Assistant Professor at the Architecture School of the University of Minho and a studio tutor at the Architectural Association, in London. She is an Assistant Professor and Vice-President of the Faculty of Engineering of the University of Beira Interior.

სტუდენტთა აქტიობა სხვადასხვა ღონისძიებებში

სტუ-ს თეატრის „მოდი ნახეს“ დასის წვრები არიან ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები: ნატა მეშველიანი, ქეთი ჯოხაძე და რომა ნებიერიძე. მათ მონაწილეობა მიიღეს სპექტაკლში „უკანასკნელი თოლია“, რომლის პრემიერა გაიმართა სტუ-ს თეატრში 2024 წლის 26 დეკემბერს.

ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან

„გზა თბილისიდან მილანის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტამდე – ინტერვიუ ბარბარე კიკილაშვილთან“

https://www.homeis.ge/barbare-kikilashvili/

ჟურნალ „იმტერიერში“ გამოქვეყნდა ჩვენი კურსდამთავრებულის თათა სვანაძის სტატია

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲐ

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲐ - ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თამთა ლომსაძე

დიზაინზე მუშაობის პროცესი არის შემოქმედებითი ინტერესი, რომელიც რეალიზაციის შემდეგ სიდიდე და ხედვისამდგომი ხდება.

ჩემი პროფესიული არჩევანი დაფუძნებულია იმ გარემომ განაპირობა, სადაც ვიზრდებოდი. არქიტექტურული განათლების მიღებამ პროცესში ერთ-ერთი გარდამტეხი ეტაპი, პორტუგალიაში სასწავლებლად წასვლა იყო, რადგან ლისაბონის უნივერსიტეტმა განმიმტკიცა საკუთარი თავის რწმენა და მასწავლა პროფესიული ბალანსის დაცვა.

ამა წელია ინტერიერის დიზაინის სფეროში ვმუშაობ, წლებთან ერთად ეს სფეროც ვითარდება და უფრო მეტად მოთხოვნადი ხდება ჩვენი საზოგადოებისთვის.,მიხარია, რომ გვყავს ბევრი ნიჭიერი არქიტექტორი და დიზაინერი, რომლებიც ღირებულ პროექტებს პქმნიან. მიუხედავად ამისა კარგ კიდევ მეტი საკეთი საგრძოებს სტანდარტიზაციას და საერთაშორისო მოთხოვნებთან მიახლოებას.

ინტერიერის დიზაინი არქიტექტურის ის სფეროა, რომელიც შუამავად გვთავაზობს ადამიანებსა და ტექნოლოგიურ ნიახლეებს გვთავაზობს. აუცილებელია დიზაინერი ამ გამოწვევებს მზად დახვდეს. ნებისმიერი ხელი ფრთხიან მიმართებაში განვითარების ცვლილებას, ამიტომ მიმაჩნია, რომ ინტერიერის დიზაინში ტენდენციები მეორეხარისხოვანია, მთავარია შექმნა შენთვის კომფორტული სივრცე, რომელშიც საკუთარი თავის მაქსიმალურ იდენტიფიკაციას მოახდენ. ჩემი და ჩემი გუნდის კონფიგურაციის მთავარი არსია შევქმნათ ისეთი პროექტები, რომლებიც პარმონიულად იარსებებს ფრთა და სივრცეში.

რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთმა სასწავლებელმა შემოთავაზა დექციების წაკითხვა სტუდენტებისთვის, ეს იყო ახალი, ძალიან საინტერესო და საპასუხისგებლო გამოწვევა. გარდა იმისა რომ ჩემს დაგროვილ ცოდნას და გამოცდილებას ვუზიარებ სტუდენტებს, ასევე მთავარ ვიღებ ბევრ საინტერესო ინფორმაციას, ეს ერთგვარი შემოქმედებითი პროცესია, სადაც ხდება ერთმანეთისთვის ინფორმაციის გაზიარება, მხსელობა და შედეგის დანახვა.

დღეგანდელი გადმოსახედიდან ვისურვებდი ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული არქიტექტურის და დიზაინის სკოლა, სადაც სტუდენტები ამ სფეროში მიიღებდნენ საფუძვლიან განათლებას და ცოდნას. ეს სამომავლო ძალიან ბევრი პრობლემის პრევენციაში დაგვეხმარებოდა.

2024 წლის 22 დეკემბერს გაიმართა უკვე მეორეთ ფაკულტეტის დღე

ფაკულტეტის დღეზე დეკანმა ნინო იმნაძემ წარმოადგინა ანგარიში: „2017 – 2025 წლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და აქტიობების შესახებ“

ფაკულტეტის დღეს დაესწრო სტუ-ს ვიცე-რექტორი თამარ წერეთელი და სტუ-ს სამეთვალყურო საბჭოს პრეზიდენტი ზურაბ გუდავაძე.

დღის ბოლოს გაიხსნა სტუდენტური გამოფენა: საახალწლო ნაძვის ხის არქიტექტურული ინტერპრეტაცია.

ფოტო კოლაჟი გამოფენის

ფაკულტეტის დღეს გაიმართა სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია: „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“

კონფერენციის დღის წესრიგი:

ARCHITECTURE, URBAN PLANNING AND DESIGN
FACULTY OF ARCHITECTURE, URBAN PLANNING AND DESIGN

კონფერენცია

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამდედროვე პრობლემები

თბილისი, საქართველო 2024 წლის 22 დეკემბერი

conference

Modern Problems of Architecture and Town Planning

სამუშაო ენა: ქართული, ინგლისური

December 22, 2024Tbilisi, Georgia

Working languages: Georgian, English

კონფერენციის დღის წესრიგი

The Schedule of the Conference

ხანგრძლივობა/Duration 12:00 -17:00 22.12. 2024

დრო Time	საკითხი Issues, title of Presentations	მომხსენებელი Presenter
12:00	დღის წესრიგის გაცნობა Open ceremony welcome speech	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფ.დეკანი ნინო იმნაძე Nino Imnadze, Dean of the Faculty of Architecture, Urban Planning and Design, GTU
12:15	ახალი ტექნოლოგიები 21-ე საუკუნის ინტერიერის დიზაინში New technologies in 21st century interior design	ასოც. პროფესორი - ნ. ქოჩლაძე Associate Professor – N. Kochladze
12:40	მართვა არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში Management in the field of architecture and construction	პროფესორი - თ. ჩიგოგიძე Professor - T. Chigogidze
13:00	მურალის გავლენა საქალაქო სივრცის აღქმაზე The influence of murals on the perception of urban space	ასოც. პროფესორი - ი. მაკოვკინა Associate Professor –I. Makovkina
13:20	ხელოვნური ინტელექტის გავლენა არქიტექტურაზე The impact of artificial intelligence on architecture	დოქტორანტი - რ. ნეფარიძე ხელმძღვანელი - პროფ. გ. სალუქვაძე PhD student - R. Nefaridze Supervisor - Prof. c. Salukvadze
13:40	,,დევიდ ჩიპერფილდის ახალი კლასიციზმი" "David Chipperfield's New Classicism" Ph.D	დოქტორანტი- მ. ბენაშვილი ხელმძღვანელი - თ. ჩუბინიძე Doctoral student – M. benashvili Supervisor - Prof. T. Chubinidze
14:00	სოციალური პასუხისმგებლობა კულტურული იდენტობის შენარჩუნებისთვის Social responsibility for maintaining cultural identity	დოქტორანტი - მ. ბოჭორიშვილი ხელმძღვანელი პროფ. - ნ. იმნაძე PhD student - M. Bochorishvili Head Prof. - N. Imnadze
14:40	პროექტირების ავტომატიზირებული სიტემების	არქიტექტორი, ა(ა)იპ ინჟინრული აზრი - ნ. ხელაშვილი

	სემანტიკა AutoCAD-ის, ArchiCAD-ისა და Revit-ის ბრძანებების შედარებითი ანალიზის მაგალითზე Semantics of automated design systems on the example of a comparative analysis of AutoCAD, ArchiCAD and Revit commands	ხელმძღვანელი პროფ. ნინო ჩაჩავა Architect, A(A)IP Engineering Opinion - N. Khelashvili Head Prof. Nino Chachava
15:00	შესვენება	ჩაი, ყავა
15:50	რიჩარდ სერას ფენომენი The Richard Serra Phenomenon	დოქტორანტი - ნ. წიკლაური ხელმძღვანელი პროფ. - ვ. მუჯირი Doctoral student - N. Tsiklauri Head Prof. - V. Mujiri
16:10	კლიმატის ცვლილება და სამართლიანი გარდაქმნა საქართველოში Climate change and just transition in Georgia	დოქტორანტი- ლ. ტურიაშვილი ხელმძღვანელი - ქ. ბერეკაშვილი Doctoral student – L. Turiashvili Supervisor - Prof. K. Berekashvili
16.30	ტაქტიკური ურბანიზმი Tactical urbanism	დოქტორანტი- ს. ბეგაშვილი ხელმძღვანელი - პროფ. ნ. იმნაძე Ph.D. student Begashvili Supervisor - Prof. N. Imnadze
16:50	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ადაპტირება თანამედროვეობასთან Adaptation of cultural heritage monuments to modernity	პროფ. - ნ. იმნაძე Prof. - N. Imnadze
17:10	მომსახურების ცენტრები ეროვნულ პარკებში - განვითარების ტენდენციები ამერიკის და საქართველოს მაგალითზე Service centers in national parks - development trends on the example of America and Georgia	აკადემიური დოქტორი - გ. ვარდოსანიძე Academic Doctor - G. Vardosanidze
17:30	ბუნებრივი პროცესების ჰარმონიზაცია მცირე საპორტო ქალაქების მდგრადი განვითარებისთვის ქ. ფოთის	დოქტორანტი- ლ. გერსამია ხელმძღვანელი - პროფ. ნ. ჩაჩავა Ph.D. student L. Gersamia Supervisor - Prof. N. Chachava

	ლანდშაფტური დინამიკის ანალიზის საფუძველზე Harmonization of natural processes for the sustainable development of small port cities based on the analysis of the landscape dynamics of Poti	

შენიშვნა: რეგლამენტი მომხსენებლისთვის შეადგენს 15 წუთს, ემატება 5 წუთი კითხვებისთვის.

საორგანიზაციო ჯგუფი / Organizing Committee: Gia Natsvlishvili/გია ნაცვლიშვილი, პროფესორი gia_natsvlishvili@yahoo.com; Nino Chachava/ნინო ჩაჩავა, პროფესორი n_chachava@gtu.ge; Shota Gelashvili/ შოთა გელაშვილი, ასისტენტ პროფესორი sh.gelashvili@gtu.ge; Badri Gorgiladze/ბადრი გორგილაძე.

ახალგაზრდა პედაგოგის წარმატებული დებიუტი საკურსო პროექტი: ფერმერის საცხოვრებელი სახლი

წელს პირველად პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა მოწვეული პედაგოგის რანგში არქიტექტორმა ლევან ასაბაშვილმა






პროექტი „ზოოპარკი“

2024 წლის დეკემბერში დაიწყო პროექტი „ზოოპარკი“. პროექტის მიხედვით ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებმა უნდა დააპროექტონ ვოლიერები ცხოველებისთვის და პავილიონებვი, ასევე უნდა შექმნან ქალაქგეგმარებითი პროექტი. პირველ ეტაპზე სტუდენტების მიერ შეიქმნა სარეკლემო ბანერი, რომელიც უკვე განთავსებულია ზოოპარკის ტერიტორიაზე. ხელმძღვანელი ბესარიონ ტატიშვილი. პროექტში ჩაერთვებიან სხვადასხვა საფეხურის ბაკალავრიატის სტუდენტები.